საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/246 „ 17 „ სექტემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის
მეორე ეტაპზე ზოგიერთი კანდიდატის დაშვების შესახებ

„მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 3 სექტემბრის №1/241 გადაწყვეტილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსზე დარეგისტრირებულ კანდიდატებს გოჩა დიდავას, ლეილა გურგუჩიანს და დავით სვანაძეს მიეცათ დამატებითი ვადა კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენისათვის. კანდიდატებმა გ. დიდავამ და ლ. გურგუჩიანმა დადგენილ ვადაში წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტები. კანდიდატმა დ. სვანაძემ მოითხოვა დამატებითი დრო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დოკუმენტის წარმოდგენისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გოჩა დიდავა და ლეილა გურგუჩიანი დაშვებულ იქნენ 2018 წლის აგვისტოს თვის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე.

2. დავით სვანაძეს უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტის წარმოდგენისათვის მიეცეს დამატებითი ვადა 2018 წლის 29 სექტემბრამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი